ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში : XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე, თბილისი, 2004.

ბენედიქტ პოლონელი (1200-1280) - პოლონელი ფრანცისკანელი ბერი, მოგზაური. იგი თან ახლდა პლანო კარპინის მოგზაურობის დროს რომის პაპის, ინოკენტი მეოთხის ელჩობაში ყაენის კარზე, მონღოლთა იმპერიაში 1245-1247 წლებში. მას ეკუთვნის მოგონებები - *De Itinere Fratrum Minorum ad Tartaros - ფრანცისკანელი ძმების მოგზაურობის შესახებ* თათრებთან.

ქართველების შესახებ

მათ (ქართველებს) თათრები დიდ პატივს სცემენ, რადგან (ქართველები) მამაცი და მხნე მეომრები არიან. მათ ეწოდებათ ქართველები (Georgiani). რადგან ბრძოლისას თავიანთ მცველ პატრონად წმინდა გიორგის სახავენ და მას ყველა წმინდანზე უდიდეს პატივს სცემენ. საღვთო წიგნებში ბერძნულს იყენებენ და თავიანთ საცხოვრებლებისა და სამგზავრო ფორნების თავზე ჯვრის ნიშანი აქვთ აღმართული. ღვთისმსახურებას ბერძნული წესით აღასრულებენ[1].

მთარგმნელი ა. თვარაძე



[1] გვ.146.